ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 32

“ 12 ” თებერვალი 2019 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.251) 29 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამშობლოსთვის“ (ს/ნ 404984228) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №338 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების და ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.251) 14 კვ.მ. საერთო ფართობის მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამშობლოსთვის“ (ს/ნ: 404984228) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.251) 29 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამშობლოსთვის“ (ს/ნ 404984228) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №338 განკარგულება.

2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ, 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.251) 29 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამშობლოსთვის“ (ს/კ 404984228) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 7 ნოემბრის №18.904.1300 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების და ქალაქ

თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.251) 14 კვ.მ. საერთო ფართობების მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამშობლოსთვის“ (ს/კ 404984228) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 23 იანვრის №19.58.78 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.251) 14 კვ.მ. საერთო ფართობის მიწის ნაკვეთების შპს „სამშობლოსთვის“ (ს/ნ: 404984228) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემაზე.

3. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1700 (ათას შვიდასი) ლარის ოდენობით.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**